



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზუთხისებრნი

ზუთხისებრნი (*Acipenseridae* Bonaparte, 1831), თევზების ოჯახი, მიეკუთვნება ზუთხისნაირების რიგს (*Acipenseriformes*), რ-შიც შედის გადაშენებული – *Chondrosteidae*, ნიჩაბცხვირიანები (*Polyodontidae*) და ზუთხისებრნი (*Acipenseridae*). ზ-თა ოჯახის 26 სახეობა გაერთიანებულია 4 გვარში: სვია, ზუთხი, ნიჩაბცხვირიანები და ცრუ ნიჩაბცხვირიანები. ზუთხების გვარში 16 სახეობაა, რ-ებიც ბინადრობენ შავ ზღვაში (7); აზოვის ზღვაში (4); კასპიის ზღვაში (7) და შორეულ აღმოსავლეთში (2). ზ. გამსვლელი თევზები არიან, ქვირითის დასაყრელად მდინარეებში შედიან. ზოგიერთი სახეობა ბინადრობს როგორც მტკნარ წყალში, ასევე ზღვაში.

ნ. ნინუა
